“ელექტრონული მმართველობის განვითარების გავლენა დემოკრატიაზე: საქართველოს შემთხვევის ანალიზი”

“The development of electronic governance and its impact on democracy: Analysis of the case of Georgia.“

ანანო ციცქიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ნაშრომის ხელმძღვანელი: გიორგი ბობღიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანანო ციცქიშვილი

19/06/2025

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მმართველობის თანამედროვე პრაქტიკები მნიშვნელოვნად გარდაქმნა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატიული კონსოლიდაციის ეტაპზე იმყოფებიან. ნაშრომი მიზნად ისახავს ელექტრონული მმართველობისა და დემოკრატიის ურთიერთკავშირის შესწავლას საქართველოს მაგალითზე. კვლევა განიხილავს, თუ რამდენად შეიძლება ციფრული მმართველობა იქცეს დემოკრატიული ღირებულებების – მათ შორის გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების – განმტკიცების ინსტრუმენტად.

თეორიულ ჩარჩოს საფუძვლად უდევს თანამედროვე მოდელები, როგორიცაა საინფორმაციო საზოგადოების თეორია, ახალი საჯარო მენეჯმენტის (NPM) თეორია, ღია მმართველობის (Open Government) თეორია და ციფრული მმართველობის ერის (Digital Era Governance) მოდელი. კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას და აერთიანებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევებს და საერთაშორისო ინდექსებზე დაფუძნებულ ანალიზს.

მიგნებები აჩვენებს, რომ მიუხედავად ელექტრონული სერვისების ტექნიკური გაფართოებისა, მათი გამოყენება არ ექვემდებარება ჯერ კიდევ სრულფასოვან დემოკრატიულ ჩარჩოს. მოქალაქეთა ციფრული მონაწილეობა ხშირად აღიქმება როგორც ტექნიკური სერვისების მიღება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ხელოვნური ინტელექტის (AI) როლის გააზრება საჯარო მმართველობაში, რაც წარმოშობს როგორც ეფექტიანობის, ისე ეთიკური პასუხისმგებლობის გამოწვევებს.

ნაშრომი ასკვნის, რომ ელექტრონული მმართველობა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის სიმბოლო არ არის – მისი დემოკრატიული პოტენციალი რეალიზდება მაშინ, როდესაც ის თანაბრად ეფუძნება ღირებულებით, სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოებს

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მმართველობა, დემოკრატია, მოქალაქეთა ჩართულობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ხელოვნური ინტელექტი.

Abstract

The development of digital technologies has significantly transformed modern governance practices, especially in countries undergoing democratic consolidation. This thesis aims to explore the correlation between e-governance and democracy, using Georgia as a case study. The research examines the extent to which digital governance can serve as a tool for strengthening democratic values, including transparency, citizen engagement, and institutional accountability.

The theoretical framework of the thesis is based on contemporary models such as the Information Society Theory, the New Public Management (NPM) Theory, the Open Government Theory, and the Digital Era Governance model. The research adopts a mixed-methods approach, combining quantitative data (an online survey on citizens' digital engagement), qualitative insights (in-depth interviews with experts), and analysis based on international indices.

The findings indicate that despite the technical expansion of electronic services, their use does not yet fully align with a comprehensive democratic framework. Citizens' digital participation remains fragmented and is often perceived more as the receipt of technical services rather than as an equal share in political processes. The role of Artificial Intelligence (AI) in public governance emerges as particularly significant, raising challenges related to both efficiency and ethical responsibility.

The thesis concludes that e-governance is not merely a symbol of technological progress — its democratic potential is realized only when it is equally grounded in value-based, legal, and institutional frameworks.

Keywords: e-governance, democracy, citizen participation, transparency, accountability, artificial intelligence.